თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4704378

ნომერი: AR1707124

თარიღი : 01.10.2019

გაცემის თარიღი : 08.10.2019

გაცნობის თარიღი : 08.10.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ანსიანი პ/ნ 01005039486
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 35, ბინა 70

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკა ანსიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არქცენტრი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405232975

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "იქსმშენ დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405243482
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რუდოლფ ნაზაროვი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013010068

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/3401
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 8.11.2011

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/3569-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.11.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

№AR1707124 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
ვინაიდან განაშენიანების რეგულირების გეგმა და არქიტექტურული შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსებაზე საჭიროა სამსახურის ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge ახალი განაცხადით აირჩიოთ სწორი ნომენკლატურა (თქვენს მიერ არჩეულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის ფუნქციით და დოკუმენტაცია წარმოადგინოთ შესაბამისი სახით.
დამატებით გაცნობებთ შემდეგს: ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 08 ნოემბერს გაიცა 01/3401 ბრძანება, ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ჩაჩავას ქ. #2-4-6-8-10-ში (ნაკვ. #5/6) შპს დიღომი დისტრიქთ აფართმენთს“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მშენებარე მრავალფუნქციური (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) კომპლექსის ბლოკი „ბ“ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, რომლის მე-4 პუნქტის თანახმად განემარტა დამკვეთს, რომ იგი ვალდებულია ზემოთაღნიშნული ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს „ბ“ ბლოკის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის საბოლოო შეფასების ცალსახად დადებითი დასკვნის წარმოდგენა ექსპერტის შენიშვნების გათვალისწინებით. ამავე ბრძანების მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის ან/და განსაზღვრული ვადის გაშვების შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად, აღნიშნული ვადის გასვლის დღიდან. ვინაიდან 08.11.11 წლის 01/3401 ბრძანებით განსაზღვრული ვადა გასულია და მოცემული ვადის განმავლობაში არ შესრულდა ბრძანების მე-4 პუნქტით აღნიშნული ვალდებულება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად 08.11.11 წლის 01/3401 ბრძანება ითვლება ძალადაკარგულად. საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ ახალ მშენებლობაზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს 01.10.2019 წლის AR1707124 განცხადების მოთხოვნა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სწორი ნომენკლატურის შესაბამისი სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.